ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–23

2022 წელი; 29 დეკემბერი; 10:30 სთ. ქ. თბილისი;

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
ზაზა თავაძე

მოწვეული პირები:

- მაია დევრისაშვილი – კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი;
- თამარ ბიწაძე - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი;
- ოთარ ჩიტიძე სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ ჩივაძე - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი;
- დავით ჩანქსელიანი - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი;

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი„

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

11. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის" (ს/ნ 400170907) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ 01.10.07.007.173) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N668 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ოთარ ჩიტიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ოთარ ჩიტიძის თქმით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“

როგორც მომხსენებელმა განმარტა, 2021 წელს შევიდა ცვლილება განაშენიანების რეგულირების წესებში და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, გათვალისწინებულ იქნა შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობის მითითების ვალდებულება.

მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილების მიზანს წარმოადგენდა, ექსპლუატაციაში მიღებული შენობისთვის პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი დანიშნულების ფართის შენარჩუნება და მისი შემცირების აკრძალვა საცხოვრებელი ფუნქციის გაზრდის მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ხორციელდება ცვლილება და ზუსტდება განაშენიანების რეგულირების წესების მე-16[1] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების ფართის შენარჩუნების ვალდებულების მითითებას და მისი შემცირების აკრძალვას საცხოვრებელი ფუნქციის გაზრდის მიზნით.

დასასრულს, მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას დედაქალაქის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. ასევე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ ბიწაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ

საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას“ შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებას.

საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა შემდგეგ ფაქტობრის გარემოებებზე:

- ✓ 2021 წელს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების თანახმა, დამტკიცებული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონის პირობები.

- ✓ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 05 ივლისის ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა შპს „ალმამ“, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და შპს „ალმას“შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულებები **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“.**

- ✓ 2022 წლის ნოემბერში კომპანიამ სააგენტოსგან მოითხოვა, ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რიგი არსებული სარეკლამო ობიექტების გაუქმება და სანაცვლოდ, ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგიერთი სარეკლამო ობიექტის პარამეტრების გაზრდა, ასევე რამდენიმე ახალი სარეკლამო ობიექტის დამატება.

- ✓ კომპანიის განმარტებით, სარეკლამო ობიექტების გაუქმებას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი, მათ შორის: ცუდი ხილვადობა, ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულების ცვლილება, ქუჩის რეაბილიტაციის გამო ობიექტის აღება და სხვა.

- ✓ **ჯამში უქმდება 3573.98 კვ.მ. ფართის არსებული სარეკლამო ობიექტები (მათ შორის, მოხდება 78 სარეკლამო ობიექტის სრულად აღება) და ემატება 2918.05 კვ.მ. ფართის სარეკლამო ფართი (მათ შორის, 7 ახალი ობიექტი). შესაბამისად, ჯამში ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარეკლამო ფართი მცირდება 655.93 კვ.მ.-ით.**

- ✓ წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 28 ოქტომბრის დასკვნა, რომლის თანახმად, ნებართვის მფლობელის მიერ მოთხოვნილი სარეკლამო ფართების ზრდის საფასური არ აღემატება შემცირებული სარეკლამო ფართების ღირებულებას, შესაბამისად მოთხოვნილი ცვლილება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნებართვების გაცემის ფასზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს და ნებართვის მფლობელის მიერ დამატებითი ანაზღაურების ვალდებულებას არ წარმოშობს.

როგორც სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ასევე ხდება ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება, მათ შორის, სარეკლამო ობიექტების გვერდების რაოდენობის რეალური მონაცემების ასახვა და სარეკლამო ობიექტების ერთი ხელშეკრულებიდან მეორეში გადატანა, მათი ფაქტობრივად განთავსების ადგილის შესაბამისად. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მარჯვენა სანაპიროს ხელშეკრულებაში ემატება 7 (შვიდი) ახალი სარეკლამო ობიექტი, რომლებიც არ იყო განთავსებული ხელშეკრულებების გაფორმებისას, მარჯვენა სანაპიროს ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში ხდება დაზუსტება იმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების 41-ე მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი არ ვრცელდება აღნიშნულ ახალ სარეკლამო ობიექტებზე.

დასასრულს, თამარ ბიწაძემ დაამატა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარმოუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას“ შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილის, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 127² მუხლის პირველი და მეორე პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა - მაია დევრისაშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცებას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ წარმოდგენილი წესი არეგულირებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის გაცემის პირობებს და პროცედურებს.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ მოქმედი წესისგან განსხვავებით, იცვლება წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც გამგეობის საბჭო ვალდებული იქნება 3 თვეში ერთხელ შემოწმების ნაცვლად, 4 თვეში ერთხელ შეამოწმოს ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას. აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ყოველწლიურად მატულობს ქვეპროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა, რაც ართულებს 3 თვეში ერთხელ მონიტორინგის განხორციელებას. არსებული ვითარების გათვალისწინებით შემოწმების ვადის 3 თვიდან 4 თვემდე გაზრდა უფრო რეალური და განხორციელებადია.

მაია დევრისაშვილმა იქვე დასძინა, რომ პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-16 დადგენილება.

დასასრულს, კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან. ამასთანავე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა რომ მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში მითითებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ნომერი და რეკვიზიტები. აგრეთვე, წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივი დასაბუთების მუხლებში მიეთითოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - **მარიამ ჩივაძემ** - სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების განხორციელების შემდეგი წესების დამტკიცებას:**

1. „**დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი**” (დანართი №1), რაც გულისხმობს, არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 25-70 წლის ჩათვლით ქალებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 50-დან 70 წლის ჩათვლით მამაკაცებისთვის შემდეგი **მომსახურებების (კომპონენტების) დაფინანსებას:**

ა) ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-70 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს 25-60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში;
ბ)პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვით, რომელიც მოიცავს სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევას;
გ) კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის;
დ)ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი რისკის მქონე ქალებში;

2. **გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (დანართი N2)** - რაც ითვალისწინებს, საქართველოს მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის შემდეგი მომსახურებების დაფინანსებას:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება;
ბ) დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
გ) მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკური ღონისძიებების ხელშეწყობა და მონიტორინგი;

დ) ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობა, ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობა;
ე) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდება;
ვ) გადამდებ დაავადებათა პრევენცია;
ზ) დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
თ) ეპიდემიოლოგიური მონაცემების რეგულარული შეფასება, მონაცემთა ანალიზი;
ი) ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საინფორმაციო კამპანიების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში ორგანიზება და წარმართვა;
კ) საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ზედამხედველობა.

როგორც მარიამ ჩივაძემ განაცხადა, 2022 წელს მოქმედი წესი იდენტური სახით გაგრძელდება 2023 წელს.

3. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (დანართი №3), რაც ითვალისწინებს, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე (აუტიზმის სპქტრის დარღვევა) 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეების, მიმართ **შემდეგი მომსახურებების/ღონისძიებების დაფინანსებას:**

ა) ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა;

ბ) ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად მოსარგებლისათვის სეანსის მიწოდებას (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა);

გ) ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება;

დ) 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით;

4. „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (დანართი №4), რაც ითვალისწინებს, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აქვთ მწვავე ლეიკემია, მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია, მწვავე მიელოიდური ლეიკემია, ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია, იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია, არაჰოჯკინის ლიმფომა, ჰოჯკინის ლიმფომა, მიელოდისპლაზიური სინდრომი, აპლაზიური ანემია, ჰისტიოციტოზი, თალასემია, მრავლობითი მიელომა (მიელომური ავადმყოფობა) შემდეგი მომსახურებების დაფინანსება:

ა) ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები;

ბ) მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.

გ) ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება საქართველოში.

5. ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (დანართი №5), რაც ითვალისწინებს, HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე, ქალაქ თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მომსახურებას, შემდეგი მედიკამენტების დაფინანსების უზრუნველყოფას:

ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო;

ბ) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო;

გ) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

6. „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (დანართი №6), რაც ითვალისწინებს, არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით, ბავშვებსა და მოზარდებში, მულტისისტემურ ინტერვენციას - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირების უწყვეტ მეთვალყურეობასა და მკურნალობის პროცესს სპეციალიზებული მულტისისტემური ინტერვენციის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, წესით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევისა და დაფინანსების გზით;

როგორც მარიამ ჩივაძემ განაცხადა, 2022 წელს მოქმედი წესი იდენტური სახით გაგრძელდება 2023 წელს.

7. „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №7), რაც ითვალისწინებს, გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების, მაკდონალდის სადიაგნოზო კრიტერიუმების თანახმად, სადაც კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალით შეფასებული მდგომარეობა არის 0-დან 6 ქულის ჩათვლით, მედიკამენტების „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“-ს და შესაბამისი კვლევების, თავის ტვინის ან/და ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის (ქიმიური აგენტის დახმარებით) დაფინანსებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქვეპროგრამის განმახორციელებელი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიების/დაწესებულებების მიერ მომსახურების გაწევის გზით, სათანადო ხელშეკრულების პირობების ფარგლებში.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ამჟამად მოქმედ დადგენილებასთან შედარებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სიახლეებს:

ა) დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში გასწორებულ იქნა რიგი ხარვეზები და შესაბამისად, წესი გასწორებულ იქნა სათანადო რედაქციით;

ბ) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში განხორციელებულ იქნა რიგი ცვლილებები შემდეგი სახით:

ბ.ა.) მულტიდისციპლინური გუნდის განათლების ხარისხსა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები და მათი პროფესიული სახელწოდებების შესაბამისობაში მოდის „აუტიზმის მქონე პირთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 დეკემბრის N01/129/ნ ბრძანებასთან და გუნდის შემადგენლობაში იქნებიან ჩართულები: ნაცვლად - ქცევითი თერაპევტისა, განისაზღვრება ქცევითი ანალიტიკოსი, ნაცვლად - ქცევითი თერაპევტისა (სუპერვაიზერი), იქნება - ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი. აგრეთვე, ემატება, შემთხვევის მენეჯერი, რომელიც კოორდინირებას უწევს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიისაგან განსხვავებულ სერვისებსა და მხარდაჭერას, რაც გაწერილია ინდივიდუალურ გეგმაში; აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლისათვის განსაზღვრული კრიტერიუმი: 5 ქცევის ტექნიკოსზე არანაკლებ 1 ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტის არსებობა, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი) და/ან არის ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი, რომელიც ასრულებს

სუპერვაიზორისათვის განკუთვნილ მრავალფეროვან სამუშაოს მოეთხოვება მხოლოდ 2023 წლიდან ჩართულ მიმწოდებლებს.

ბ.ბ.) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე განისაზღვრა შემდეგი ჩანაწერი: 2023 წლიდან, მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირისათვის სავალდებულოა, რომ ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრაციისათვის, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქცევის ანალიტიკოსი არ წარმოადგენდეს სხვა მიმწოდებელთან დასაქმებულს.

ბ.გ.) ცვლილება ხორციელდება ქვეპროგრამის მოსარგებლეთათვის სეანსების მიწოდების რაოდენობისა და ფორმის ნაწილში, შემდეგი სახით:

ნაცვლად, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის, თვეში არაუმეტეს 20 (ოცი) სეანსის განხორციელებას 2-7, 8-11 და 12-17 ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის, შესაბამისად - არანაკლებ 14, არანაკლებ - 12, და მულტიდიციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის სეანსების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად, როდესაც მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე, ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით ან

ბ.ბ) ბაზისური მომსახურებას (სტანდარტიზებული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით), რომელიც მოიცავს:

ბ.ბ.ა) ქვეპროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა/კორექტირება;

ბ.ბ.ბ) ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს;

ბ.ბ.გ) წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

ბ.ბ.გ.ა) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 14 სეანსისა;

ბ.გ.გ.ბ) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 12 სეანსისა;

ბ.ბ.გ.გ) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

ბ.ბ.დ) წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

ბ.ბ.დ.ა) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10;

ბ.ბ.დ.ბ) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10;

ბ.ბ.დ.გ) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

გ) ზემოაღნიშნული ღონისძიების გათვალისწინებით, ცვლილება შედის დაფინანსების მეთოდოლოგიაში, იდენტური რჩება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში **400 ლარის ოდენობით და განისაზღვრება,** ინდივიდუალური განვითარების გეგმის **1/3-ზე მეტი სეანსის არ ჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულება 280 ლარის ოდენობით** (ვაუჩერის სრული ღირებულების 70%) (გარდა მე-5 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

გ) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი", წარმოდგენილი პროექტით იცვლება შემდეგი სახით:

2022 წელს მოქმედი წესისაგან განსხვავებით გაერთიანდება მომსახურების კომპონენტები და **ერთ პუნქტში ჩაიწერება მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია, ნაცვლად ცალ-ცალკე მითითებისა,** აღნიშნული **განპირობებულია** შემდეგი **მიზეზით:** ექიმების რეკომენდაციით მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის საჭიროება აუცილებლად მოიცავს ტრანსპლანტაციის საჭიროებას, შესაბამისად მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, დოკუმენტაციის წარმოდგენის გამარტივების კუთხით, გაერთიანდება ეს ორი კომპონენტი. ამ ჩანაწერმა გამოიწვია სხვა პუნქტებში ცვლილება და შესაბამისად დაკორექტირდება სხვა პუნქტებიც ამ ცვლილების შესაბამისად.

მარიამ ჩივაძის თქმით, ზემოაღნიშნული მომსახურებების გაერთიანებით, ასევე, ცვლილება განიცადა **წესის მე-7 მუხლმა,** სადაც გათვალისწინებულია მოსამსახურებების დასახელებები და ღირებულებები. აღნიშნულ ნაწილში ჯამურად არის დაანგარიშებული მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიისა და ტრანსპლანტაციის ღირებულებები.

დ) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" იცვლება შემდეგი სახით :

2022 წელს მოქმედი წესისაგან განსხვავებით, **მიმწოდებლის კრიტერიუმების წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში შემცირდა მედიკამენტის ფასი და 2000 ლარის ნაცვლად მიეთითება 1500 ლარი.** შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებული იქნება უზრუნველყოს „ტრასტუზუმაბი" (დოზა – 440მგ/ფლაკონი + 20მლ გამხსნელი (საინექციო

წყალი, ინტრავენური ფორმა) მინის ფლაკონი №1 ან/და 600მგ/5მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 (5მლ) ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 1500 ლარის ტარიფით მიწოდება, ნაცვლად 2000 ლარისა. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე გაჩნდა ეკონომია ამიტომ გაიზრდება ინფუზიების რაოდენობა.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესებიდან ამოღებულ იქნა გარდამავალ დებულებებში მითითებული შემდეგი ჩანაწერი: „განმახორციელებელს, ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, უფლება აქვს, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიიღოს ამ წესისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება“.

მარიამ ჩივაძემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილება.

დასასრულს, მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან. პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტერბით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში შესაბამისი სახით მიეთითოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილების რეკვიზიტები.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული რეკომენდაცია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. მარიამ ჩივაძემ - სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებას:

ა) „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (დანართი №1), რაც ითვალისწინებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისში რეგისტრირებული ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ყოველი ახალშობილის დაბადებისას – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარების გაწევას. ამასთან, თუ მოსარგებლე დოკუმენტურად დაადასტურებს, რომ ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დახმარების მიმღები ახალშობილი ქვეპროგრამის მოსარგებლე ოჯახის წევრის მე-3 ან შემდეგი შვილია, მაშინ იგი მოიპოვებს დამატებით ერთჯერადი დახმარების მიღების უფლებას, შემდეგი ოდენობით:

ა) მე-3 ახალშობილზე-300 (სამასი) ლარი;
ბ) მე-4 ახალშობილზე-500 (ხუთასი) ლარი;
გ) მე-5 და შემდეგ ახალშობილზე- 1000 (ათასი) ლარი.

ბ) „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" დანართი №2, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირებისათვის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებისთვის, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი, ფულადი დახმარების გაცემას - 1000 ლარის ოდენობით.

გ) „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" დანართი №3, რაც ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად ფულადი დახმარების გაცემას - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დ) „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების" და „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" დანართი №4, რაც ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ თბილისში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ოჯახში ფიქსირდება, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი, შემდეგი ფულადი დახმარების გაცემას:

ა) ჯამურად წელიწადში 800 (რვაასი) ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა ორ ნაწილად, მაისში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 400(ოთხასი) ლარის ოდენობით;

ბ) ჯამურად წელიწადში 900 (ცხრაასი) ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა სამ ნაწილად, მაისში, აგვისტოში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ე) „უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში" და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" დანართი №5, ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქ. თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" და ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის", აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ ფორმით დაფუძნებული ხელოვნების სკოლების მიერ კონკრეტულ წრეზე გაკვეთილების ჩატარება ხორციელდება მათი სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ვ) „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი" დანართი №6, რაც ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ქ. თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, კვალიფიციური მწვრთნელის საშუალებით, აუზზე ცურვის, მინიმუმ 45 წუთიანი ხანგრძლივობის გაკვეთილების დაფინანსებას. გაკვეთილების ერთი სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს სამ თვეს, თვეში 12 გაკვეთილს.

ზ) „შინმოვლის თანადაფინანსების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" დანართი №7, რაც ითვალისწინებს, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქ. თბილისში რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებისათვის, რომლებისათვისაც, „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის" მიხედვით (დანართი №7-1) მინიჭებული ქულა არ აღემატება 95 ერთეულს, მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელება. აღნიშნული ღონისძიება, ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, მოიცავს, მრავალდარგობრივი გუნდის მიერ ბინაზე მოვლის განხორციელებას,

თ) „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" დანართი №8, რაც ითვალისწინებს, საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რომელთაც ეს უკანასკნელი სტატუსი მინიჭებული აქვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში" მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, მედიკამენტების დასაფინანსებლად, მათთვის ფინანსური დახმარების გაწევას. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში.

ი) „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ დანართი №9, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში რეგისტრირებული, 18 წლიდან 21 წლამდე (21 წლის შესრულების თვის ჩათვლით) ასაკის პირებისთვის, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში წარმოადგენდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, სრულწლოვანების მიღწევის გამო დატოვეს ის და საჭიროებენ საცხოვრისს, მომსახურების გაწევას, არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით თვეში, შემდეგი სახით:

ი.ა) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა – მოსარგებლეზე მორგებული და მასთან შეთანხმებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა-განვითარება;
ი.ბ) საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა – საცხოვრებელი სახლი საძინებელი ოთახით, სამზარეულოთი, ინდივიდუალური სამეცადინო/სამუშაო კუთხით, საერთო ოთახით და სველი წერტილით, აღჭურვილი ცხოვრებისთვის აუცილებელი, საერთო სარგებლობის საბაზისო ავეჯით, ტექნიკით და საყოფაცხოვრებო ინვენტარით ასევე, სხვა აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნებით. ამასთანავე, საცხოვრებელი სახლი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხელი წყლით, გათბობით, ბუნებრივი აირით, ელექტრო-ენერგიით და ინტერნეტით;
ი.გ) პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა – პროფესიული უნარების და კომპეტენციების განვითარებაში ხელშეწყობა, სამუშაოს ძიებისა და დასაქმების უნარების განვითარება (რეზიუმისა და სამოტივაციო წერილის შედგენა, გასაუბრებისთვის მომზადება), კარიერის დაგეგმვა;
ი.დ) ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა – მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება; ნებელობითი ფუნქციების განვითარება; კომუნიკაციის უნარების განვითარება; ემოციური ინტელექტის განვითარება; მოსარგებლისათვის დამატებითი რესურსების მოძიება;
ი.ე) ცნობიერების ამაღლება – ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, თანხის და დროის მენეჯმენტის სწავლება;
ი.ვ) განათლება – არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა;
ი.ზ) ჯანმრთელობის დაცვა – პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა.

როგორც მარიამ ჩივაძემ განმარტა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, განსხვავებით ამჟამად მოქმედი წესისა ითვალისწინებს, შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

ა) მცირე ცვლილება განიცადა 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესმა, კერძოდ, წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში პირები რომლებსაც 2022 წელს „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურე ბანკში პირად საბანკო ანგარიშზე დაერიცხათ ფულადი დახმარება და სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში **2023 წლის 9 იანვრის (ნაცვლად - იანვრისა)** მდგომარეობით არსებული ინფორმაციის მიხედვით აკმაყოფილებენ ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს, თანხას მიიღებენ იმავე, აქტიურ საბანკო ანგარიშზე;

ბ) აღსანიშნავია, რომ დადგენილებით დამტკიცებული წესებიდან ამოღებულ იქნა გარდამავალ დებულებებში მითითებული ჩანაწერი: განმახორციელებელს, ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშრებით, უფლება აქვს, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიიღოს ამ წესისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

გ) „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ განხორციელებულ იქნა შემდეგი ცვლილებები:

გ.ა) მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარის განმარტებისას, ნაცვლად მთავრობის დადგენილების ნომრისა და სათაურისა, მითითებულია ამავე დადგენილებით განსაზღვრული პროგრამა და ქვეპროგრამა. ამგვარი ცვლილებით ტერმინის განმარტების მნიშვნელობის ცვლილება არ განხორციელებულა.

გ.ბ) ქვეპროგრამაში ბენეფიციარის ჩართვასთან დაკავშირებული შუამდგომლობის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოდ, ნაცვლად, რეგიონული საბჭოსა, განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი –„სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“;

გ.დ.) ტერმინილოგიური ცვლილების თვალსაზრისით, წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, ის პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ ქვეპროგრამის მოსარგებლეებს განმარტებულია შემდეგი სახით: „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამაში“ ჩართული პირები, ნაცვლად, აღნიშნული პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების მითითებისა;

გ.ე.) წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში გამოიკვეთა შემდეგი: განმახორციელების მიერ, ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა განხორციელდება სააგენტოს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების რიგითობის მიხედვით, ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას.

გ.ვ.) წესის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის სახით განისაზღვრა, რომ „ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების თვის მომდევნო თვეში მოსარგებლის მიმწოდებელთან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ავტომატურად უქმდება. გამონაკლისს წარმოადგენს მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით“.

გ.ზ.) მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში დაემატა შემდეგი კრიტერიუმი: „ჩართული უნდა იყოს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“, „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამაში“, როგორც მომსახურების მიმწოდებელი“.

გ.თ) ამასთან გარდამავალ დებულებებში ჩაემატა, რომ 2022 წელს შესრულებული სამუშაო, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2023 წელს, ანაზღაურდება 2022 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ რომ დადგენილებით დასამტკიცებელ შესაბამის წესებში განისაზღვრა შემდეგი ჩანაწერი გარდამავალ დებულებებში:

„იმ პირთათვის, რომლებიც განცხადებას წარმოადგენენ 2022 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, 2022 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2022 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში."

მარიამ ჩივაძემ იქვე დასძია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-14 დადგენილება.

დასასრულს, მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან. პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში შესაბამისი სახით მიეთითოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილების რეკვიზიტები.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული რეკომენდაცია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირების წესით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის

გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც **ლევან ჟორჟოლიანმა** განაცხადა, “საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2023 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა **1210 (ერთიათასორასათი) ლარის ოდენობით,** შესაბამისად ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოზე 1210 (ერთიათასორასათი) ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია, გამგეობების განახლებული საშტატო ნუსხები, რომლებიც შესაბამისობაშია მოყვანილი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.

როგორც ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 1-ლი იანვარი. მისივე თქმით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2023 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა **1210 (ერთიათასორასათი) ლარის ოდენობით,** შესაბამისად, ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის სტრუქტურული ერთეულების განახლებული საშტატო ნუსხები, რომლებიც შესაბამისობაშია მოყვანილი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცვლილებებთან.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა** თვა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში. ამასთან, წარმოდგენილი პროექტის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5-17 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულიდან ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესებას, შემდეგი ოდენობით:

- ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 72 600 (სამოცდათორმეტიათას ექვსასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 6050 (ექვსიათას ორმოცდაათი) ლარი);
- იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი დამატებით განისაზღვროს 1573 (ათასხუთას სამოცდაცამეტი) ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი - შესაბამისი პროპორციით.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა** თვა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N83 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, საკრებულოს განკარგულება ძალაში შევა **2023 წლის 1 იანვრიდან.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ინიციერების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, 2023 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 210 ლარის ოდენობით, მიზანშეწონილია ასევე განხორციელდეს ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტში. კერძოდ:

- ✓ რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილების თანახმად, საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ძოცულობა განისაზღვრება **თვეში 4250 ლარის ოდენობით.**
- ✓ იცვლება რეგლამენტის 15[6] მუხლის პირველი პუნქტი, რომლითაც იზრდება მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის, თბილისის ბიუჯეტიდან, საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხების ოდენობა.

დასასრულს, **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა,** რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1-ლი იანვრიდან. ამასთან, წარმოდგენილი პროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშის უფლებრივ მდგომარეობაზე და დადადგენილების მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ ინიციირების წესით წარმოადგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

როგორც მომხსენებლმა განმარტა, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები და 2023 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1210 (ერთიათასორასათი) ლარის ოდენობით.

ლევან ჟორჟოლიანმა იქვე დასძინა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხორციელდება ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებში კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო იზრდება სარგო იზრდება 10%-ით.

დასასრულს, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების მიღება არ მოახდენს გავლენას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ლევან ჟორჟოლიანმა, ისაუბრა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მე-10 საკითხზე და განმარტა, რომ მან, მ/წლის 28 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში წაუდგინა „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის“ (ს/ნ 400170907) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი,

დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ 01.10.07.007.173) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N668 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N668 განკარგულებით ხელშემწყობი ღონისძიებები განესაზღვრა შპს „ნიუ ბრენდს". ამასთან, მ/წლის 28 დეკემბერს ამავე საკრებულოს წერილობით მიმართა ზემოხსენებული კომპანიის დირექტორმა და აღნიშნა, რომ განცხადებაში კომპანიის მხრიდან დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ განხორციელდა განკარგულებაში შენობა-ნაგებობის სიმაღლესთან დაკავშირებული პრეფერენციის ასახვა, შესაბამისად კომპანიამ ითხოვა აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების განხორციელება და წარმოდგენილი საკითხის დაზუსტება/დაკონკრეტება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება ხორციელდება N668 განკარგულებაში და განკარგულების პროექტის პირველ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „ა[1]" პუნქტი:

„ა[1]) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე."

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. შპს „თბილსერვის ჯგუფის" წარმომადგენელმა, **დავით ჩანქსელიანმა**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

როგორც **დავით ჩანქსელიანმა** აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირი **შპს „თბილსერვის ჯგუფი“**. აღნიშნული მომსახურება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას; წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას; ნარჩენების გაუვნებლობასა და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას;
- დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზებას; მონაცემთა ბაზების დროულ განახლებას; დარიცხული მოსაკრებლის კორექტირებას და მონაცემთა ბაზაში აღრიცხვას;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-46** დადგენილების ამოქმედების დღიდან, დადგენილი წესით, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების განწილვადებას;
- დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის მოსახლეობისათვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების განწილვადებას არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.
- დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის უზუსტობის შემთხვევაში დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრას შესაბამისი სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ანგარიშზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია